აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2017 წელს გატარებული ღონისძიებების შესახებ

2018 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა **3**

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2018 წლის 01 იანვრისათვის 3

ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 4

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2018 წლის 01 იანვრისათვის 5

დიაგრამა № 3: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2018-2017 წ.წ. 01 იანვრისათვის 5

სოციალური სფერო **15**

ჯანდაცვა *15*

განათლება, კულტურა, სპორტი *23*

ეკონომიკის სფერო **27**

ბიზნეს სექტორი *27*

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2017-2016 წ.წ. მოქმედ ფასებში 28

პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება *28*

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2017-2016 წ.წ. 29

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2017-2016 წ.წ. 29

დიაგრამა № 7: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2017-2016 წ.წ. 29

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები **30**

სოფლის მეურნეობა **31**

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება **33**

გეოლოგია **39**

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი **39**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი **41**

ცხრილი №2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები 2017 წელს 42

დიაგრამა № 9: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2017-2016 წ.წ. 43

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2017 წლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2018 წლის 01 იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 241 830-ს, მათ შორის ქ. თბილისში – 102 246 (42,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთში – 88 449 (36,6%), იმერეთში – 26 648 (11%), ქვემო ქართლში – 9 601 (4,0%), აჭარაში – 6 889 (2,8%), სამცხე-ჯავახეთში – 2 294 (0,9%), შიდა ქართლში – 2 254 (0,9%), კახეთში – 1 236 (0,5%), მცხეთა-მთიანეთში – 914 (0,4%), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში – 777 (0,3%), გურიაში – 522 (0,2%). კომპაქტურად ჩასახლებული იყო 8 041 (3,3%), ხოლო კერძო სექტორში – 233 789 პირი (96,7%). მიმდინარე პერიოდისათვის ქვეყნის მასშტაბით კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტთა რაოდენობა შეადგენდა 658 ერთეულს.

დიაგრამა № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 2018 წლის 01 იანვრისათვის



ცხრილი № 1: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით

	რიცხოვნობა			**პროცენტობით ჯამთან**		**არაპრივატიზებული კომპაქტ. ობიექტ. რაოდენობა**
	სულ	მათ შორის		მათ შორის		
		კერძო	კომპ.	კერძო	კომპ.	
სულ	**241830**	**233789**	**8041**	**96,7**	**3,3**	**658**
მათ შორის:						
აღმოსავლეთ საქართველოში	**118545**	**116308**	**2237**	**98,1**	**1,9**	**206**
ქ. თბილისი	102246	100597	**1649**	98,4	1,6	155
ქვემო ქართლი	9601	9451	**150**	98,4	1,6	14
შიდა ქართლი	2254	2152	**102**	95,5	4,5	21
მცხეთა-მთიანეთი	914	836	**78**	91,5	8,5	7
კახეთი	1236	1220	**16**	98,7	1,3	5
სამცხე-ჯავახეთი	2294	2052	**242**	89,5	10,5	4
დასავლეთ საქართველოში	**123285**	**117481**	**5804**	**95,3**	**4,7**	**452**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	88449	84774	**3675**	95,8	4,2	346
აჭარა	6889	6871	**18**	99,7	0,3	94
იმერეთი	26648	24585	**2063**	92,3	7,7	1
რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	777	729	**48**	93,8	6,2	11
გურია	522	522	**0**	100,0		

2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 2 896 პირით (1,5%), მათ შორის აღმოსავლეთ საქართველოში 1 781 პირით (1,5%-ით), ხოლო დასავლეთ საქართველოში – 1 135 პირით (0,9%-ით). რეგიონების მიხედვით: ქ. თბილისში – 1 536 იგპ-ით ანუ 1,5%-ით, ქვემო ქართლში 156 იგპ-ით ანუ 1,3%-ით, შიდა ქართლში – 28 იგპ-ით ანუ 1,3%-ით, სამცხე-ჯავახეთში – 21 იგპ-ით ანუ 0,9%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში 675 იგპ-ით ანუ 0,8%-ით, აჭარაში – 33 იგპ-ით ანუ 0,5%-ით, იმერეთში – 440 იგპ-ით ანუ 1,7%-ით, მცხეთა-მთიანეთში – 4 იგპ-ით ანუ 0,4%-ით, კახეთში – 16 იგპ-ით ანუ 1,3%-ით. დევნილთა რაოდენობა შემცირდა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში 16 იგპ-ით ანუ 2,1%-ით.

დიაგრამა № 2: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხვედრითი წილი განსახლების რეგიონების მიხედვით 2018 წლის 01 იანვრისათვის



დიაგრამა № 3: აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა და განსახლება რეგიონების მიხედვით 2018-2017 წ.წ. 01 იანვრისათვის



საანგარიშო პერიოდში იგპ-თა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და მისდამი დაქვემდებარებული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ქ. თბილისსა და რეგიონებში გატარდა სხვადასხვა

სახის ღონისძიებები, განხორციელდა პროგრამები. საქმიანობაში პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- ორგანიზებულად ჩასახლებულ ობიექტებში საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა და რეაბილიტაცია კომპეტენციის ფარგლებში;
- სოციალური (ჯანდაცვითი და საგანმანათლებლო) პროგრამები;
- იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობა;
- საქართველოს რიგი უწყებების ხელშეწყობით იგპ-თათვის სხვადასხვა სახის, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარება;
- აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის, აგრეთვე გაყოფილ ტერიტორიაზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობის ხელშეწყობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო (ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის მთავრობის რეგიონული წარმომადგენლობების მიერ შესწავლილ იქნა ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების მდგომარეობა. შედგა შეხვედრები დევნილ მოსახლეობასთან, სადაც განხილულ იქნა პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მოხდა კომპაქტური ჩასახლებების შენობა-ნაგებობების გადახურვა, ელექტრო და წყალგაყვანილობების რეაბილიტაცია, გამოსწორდა სამშენებლო ხარვეზები. სარეაბილიტაციო სამუშაოებში დასაქმებული იყვნენ დევნილებიც.

დევნილი მოსახლეობის მაქსიმალურად ჩართულობის მიზნით, სისტემატურად ხდებოდა რეგიონებში ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სახის პროექტების გასაცნობად. ასევე იყო შეხვედრები ახალი საპროექტო წინადადებების შესათავაზებლად კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილ ოჯახებთან.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ იგპ-ებს გაეწიათ სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციები და დახმარებები (დაბადების მოწმობის აღდგენა, სამუშაო სტაჟის დადგენა, პირადობის მოწმობის აღება, აგრეთვე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იგპ-თა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საკუთრებაში გადაცემული ფართის პრივატიზაციასთან, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა პენსიასთან, მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა). რამდენიმე დევნილ სტუდენტს გაეწია შუამდგომლობა სწავლის (სტუდენტის სტატუსი) აღდგენის, საფასურის გადანაწილებისა და სხვა მათთვის საჭირო პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაწეულ იქნა სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაშიც. მიმდინარეობდა მუშაობა იგპ-თა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნა აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი, სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებული მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას. ამ მიზნით 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები გაიზარდა. 2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობებს ერთჯერადი მატერიალური დახმარების მისაღებად განცხადებით მიმართა 2 532 ბენეფიციარმა. კომისიების მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 2 528 განცხადება და გაიცა ფინანსური დახმარება სულ 354 375 ლარის ოდენობით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა დეპარტამენტის მონაცემებით, სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან გაიხარჯა 2 014 927,70 ლარი, მ.შ. აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა და მატერიალური დახმარების სახით 915 ოჯახზე გაიცა 196 840 ლარი. დამქირავებლის მიერ გაწეულმა სოციალურმა დახმარებამ (ბიულეტენი) შეადგინა 8 087,0 ლარი.

გაორმაგდა აგრეთვე იგპ-თათვის გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სახის სარემონტო სამუშაოების პროგრამის დაფინანსება (2016 წელს – 14 700 ლარი, ხოლო 2017 წელს – 29 400 ლარი). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირე ფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სახის სამუშაოების ჩატარების მიზნით შექმნილი შესაბამისი კომისიების მიერ, პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 43 განაცხადი, 5-ს ეთქვა უარი თანხის ლიმიტის (800 ლარი) გადაჭარბების გამო, ხოლო გაცემულმა თანხამ შეადგინა 28 748,86 ლარი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობების ,,აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენ კომისიებში" 2017 წელს შემოვიდა სულ 1 056 განცხადება. გაიცა სულ 1 039 დასკვნა (აქედან დადებითი დასკვნა – 966, უარი ეთქვა 71 განმცხადებელს, ადმინისტრაციულ წარმოებაშია 17, ხოლო განუხილველად დატოვებულ იქნა 2 განცხადება).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე, სისტემატურად ხორციელდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდის განახლება, რომელზეც ელექტრონული ფორმით

თავსდებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები. ამასთან, დევნილი მოსახლეობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა აფხაზეთის საარქივო ფონდის შევსება, საარქივო დოკუმენტების აღწერა-სისტემატიზაცია.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ვადებში სათანადო წერილობითი რეაგირება განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილობით განცხადებაზე. ამასთან, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ზეპირი სახის სამართლებრივი კონსულტაციები, მომზადებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტაციები (სასარჩელო განცხადება) სასამართლოში წარდგენის მიზნით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის მიერ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული მასალების განხილვის საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნა პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე ფოტოიდენტურობის დადასტურება და საცხოვრებელი ადგილის დადგენა.

მზადდებოდა ყოველკვირეული ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, ხოლო მათ საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს კეთდებოდა აფხაზეთის დე-ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც მიეწოდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებს.

საანგარიშო პერიოდში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სულ გაწვეულ იქნა 272, ხოლო ალტერნატიულ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში – 5 წვევამდელი. გადავადების მოსაკრებელი (2 000 ლარი) გადაიხადა 2 წვევამდელმა.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის კულტურული და სპორტული ღონისძიებები. ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და ესპანეთის ინტეგრაციისა და სოლიდარობის ფონდს ,,ფინსოლი“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, 2017 წლის 2 ივლისს, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 14 ბავშვი (მათ შორის, ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიდან - 12 ბავშვი), ესპანური მოხალისე ოჯახების მიწვევით, ორი თვის ვადით გაემგზავრა დასასვენებლად ესპანეთის სამეფოში. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტმა უზრუნველყო აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადება (პასპორტი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მშობლების თანხმობა, ცნობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსახლების შესახებ, ბავშვებისთვის ვიზები და სხვა).

2017 წელს ფუნქციონირება დაიწყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, რომელშიც გაერთიანებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილი მეწარმეები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებით შექმნილი საწარმოები და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტები და მათი გაერთიანებები. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან შეთანხმებით შემუშავდა პალატაში გაწევრიანების ფორმა და სპეციალური ბლანკი, რომელშიც აისახა იმ სერვისების ჩამონათვალი, რომელთა მიწოდება ხორციელდება საწევრო განაცხადის ოდენობიდან გამომდინარე. საწევრო შენატანის ოდენობა დადგინდა კატეგორიებად. საანგარიშო პერიოდში პალატის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა აფხაზეთის მეწარმეებთან შეხვედრები მათთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ჩატარდა 67 შეხვედრა, რის შედეგადაც პალატაში გაწევრიანდა 34 წევრი. მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა გაწევრიანებული ბიზნესმენების ინფორმირებულობის გაზრდის, სხვადასხვა ღონისძიებებში და ფორუმებში მათი ჩართულობის და ინტეგრაციის მიმართულებით. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, მასში გაერთიანებულ მეწარმეებთან ერთად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ბიზნეს-ფორუმში და გამართა შეხვედრები B2B-ის ,,ბიზნესი-ბიზნესისათვის“ ფორმატში. გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო კოლხური ვაზისა და ღვინის ასოციაციის დაფუძნებაში. მიმდინარეობდა აქტიური კონსულტაციები მეწარმე სუბიექტებთან სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციების დაფუძნებასთან დაკავშირებით, კერძოდ, კაფე-ბარებისა და რესტორნების, აფხაზეთიდან იგპ ,,ქალ მეწარმეთა“ და სამედიცინო მუშაკების ასოციაციების შექმნის თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით, საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის პარტნიორობითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა ბიზნეს გამოფენა „აფხაზეთი 2017“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულმა მეწარმეებმა;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო ქართული პროდუქციისა და კრეატიული ინდუსტრიის გამოფენაში. საგამოფენო დარბაზში „ქარვასლა“, „მოითხოვე ქართულის“ ფარგლებში, ჩატარადა წინასაახალწლო გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მეწარმე-ბიზნესმენები თავიანთი პროდუქციით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა საინფორმაციო ბაზების შექმნაზე, სადაც აისახება ინფორმაცია საქართველოში მოქმედი საწარმოებისა და უცხოური

კომპანიების წარმომადგენლობების შესახებ. ბაზაში არსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება პალატაში გაერთიანებული ყველა მეწარმისათვის;

- დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ,,ბიზნესინკუბატორთან", რომლის თანახმადაც პალატა იზრუნებს ბიზნესინკუბატორში განთავსებული მცირე და საშუალო კომპანიების პროდუქციის ადგილობრივ თუ საეთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციასა და მათი შემდგომ რეალიზაციაზე, მოახდენს მათი ინტერესების ლობირებას სხვადასხვა ბიზნესის თუ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებთან;
- დაიწყო მუშაობა საგრანტო განაცხადზე აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო გამყოფ ზოლთან საკონსულტაციო საინფორმაციო ცენტრის შექმნის თაობაზე.

საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის კუთხით აქტიური მუშაობა ჩატარდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში:

- ჩატარდა შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ,,ჰელფინგ ჰენდი", რომელიც ხელს უწყობს მოხალისეობის კულტურის დანერგვას საქართველოში, ახორციელებს მოხალისეობრივ პროგრამებს. ორგანიზაციას ჩამოყალიბებული აქვს ,,მოხალისეთა ინკუბატორი", რომელიც აერთიანებს 500-ზე მეტ მონაწილეს. განისაზღვრა თანამშრომლობის ფორმატი;

  გარდა პროგრამისა ,,მოხალისეობის მხარდაჭერა საქართველოში", სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრებზე მიმდინარეობდა პროექტების შემუშავება და დონორების მოძიება შემდეგი მიმართულებით – დევნილი საზოგადოების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში, ასევე, დევნილი ახალგაზრდების ჩართულობა საერთაშორისო და ადგილობრივ პროგრამებში;

- დაიწყო დევნილი სტუდენტების პროგრამა ,,გამოცდილების გაზიარება მომავალი კარიერული წარმატებისათვის", რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას, ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესების გამრავალფეროვნებას;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან„ თანამშრომლობით განხილულ იქნა ინფორმაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2017 წლის საგრანტო კონკურსის შესახებ. შემუშავებულ იქნა საპროექტო წინადადებები დონორ ორგანიზაციასთან წარსადგენად. პარტნიორ ორგანიზაციად შერჩეულ იქნა იტალიაში მოქმედი ასოციაცია ,,რონდინე", რომელთანაც გაიმართა ონლაინ შეხვედრები, განხილულ იქნა თანამშრომლობის პერსპექტივები და პროექტთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები. პროექტი მომზადდა და გადაეგზავნა დონორს;

- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი მონაწილეობას იღებდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრის„ მიერ გამართულ საინფორმაციო შეხვედრებში ტურნირის ,,CYNC სპორტი ბარიერების გარეშე“ შესახებ. პროქტის ფარგლებში იგეგმება დევნილებისა და გალის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა;
- ფლორენციაში რომუალდო დელ ბიანკოს ფონდის ორგანიზებით, ჩატარდა კონფერენცია თემაზე ,,პლანეტა დედამიწა 2017 წლის მემკვიდრეობა, ინტელექტუალური მოგზაურობა, ინტელექტუალური არქიტექტურა, მემკვიდრეობა და დიალოგის წარმართვა“. ასევე მოეწყო ფონდის მე-19 საერთაშორისო ექსპერტთა ასამბლეა. საერთაშორისო კონფერენციამ და ასამბლეამ 5 კონტინენტიდან თავი მოუყარა 45 ქვეყნის პროფესორებს, მკვლევარებს, აკადემიკოსებს, რომლებიც მუშაობენ მსოფლიოში კულტურათაშორისი დიალოგის განვითარების მიმართულებით. საერთაშორისო მასშტაბით შექმნილია ექსპერტთა და პარტნიორ ორგანიზაციათა ქსელი, რომელშიც შესულია 500-ზე მეტი უნივერსიტეტი და 80-ზე მეტ ქვეყანაში დაფუძნებული საგანმანათლებლო ცენტრები. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, პარტნიორ ინსტიტუციათა შორის იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. აღსანიშნავია, რომ მემორანდუმის ფარგლებში პროექტებს ახორციელებს ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი. პარალელურად ღონისძიებისა, გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან. ღონისძიების ფარგლებში გამოიცა პუბლიკაცია, რომელშიც თავმოყრილი იყო 45 ქვეყნის წარმომადგენლის სტატია. ერთ-ერთი ეხებოდა საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ჩართულობას ინტერკულტურულ დიალოგში საერთაშორისო დონეზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ განხორციელებული 3 პროექტი აღიარებულ იქნა საუკეთესოდ შედეგზე ორიენტირებულ პროექტთა შორის;
- ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა მონაწილეობა მიიღო:
    - 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისადმი გამართულ კონფერენციაში;
    - პროექტის ,,სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ახალი არქიტექტურის ფორმირება“ ფარგლებში გამართულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა დიდი ბრიტანეთის მთავრობის ,,კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის“ მხარდაჭერით;

- კონფერენციაში ,,ძირითადი საკითხები – კონფლიქტურ რეგიონებში არსებული დღევანდელი პრობლემები და მასზე რეაგირების გზები“;
- ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ,,თავისუფლებისათვის“ ორგანიზებით გამართულ მრგვალი მაგიდის შეხვედრის მეოთხე რაუნდში – ,,კონფლიქტური რეგიონების საქართველოში და ადამიანის უფლებები“, სადაც გაკეთდა მოხსენება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით და რეაგირების იმ მექანიზმებზე, რომელსაც ახორციელებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა;

- საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2018–2021წ.წ.) ფარგლებში ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით შემუშავდა შემდეგი პროგრამები:
  - სამშვიდობო რესურსები – ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მომავალი;
  - ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის (საერთაშორისო პროგრამა);
  - მშვიდობის ლაბორატორია;
  - აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტების და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში;
  - კვლევა – ,,აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტტრამვული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში;
  - დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში;

- ჩატარდა კონფერენცია პროგრამის ,,ნდობის აღდგენისა და შერიგების სამშვიდობო რესურსები“ ფარგლებში თემაზე ,,აფხაზეთი – არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და პერპსექტივები“;

- მინისტრის აპარატის თანამშრომლებმა ,,Peace Corps”-ს და ,,გლოუ საქართველოს“ წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისსა და ქუთაისში გამართულ გლოუ ბანაკის პრეზენტაციებში. ისინი უზრუნველყოფდნენ ინფორმაციით რეგიონებში მცხოვრებ დევნილ ახალგაზრდებს;

- მინისტრის აპარატი ორგანიზებას უწევდა დისტანციურ შეხვედრებს სამხრეთ კორეის საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციასთან HWPL ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამშვიდობო ინიციატივები (სამშვიდობო ინიციატივების ესეების კონკურსი და გამოფენა მშვიდობის თემაზე) და მშვიდობისა და ომის შეწყვეტის

დეკლარაციის სამართლებრივი ასპექტები. გაიმართა ონლაინ-დისკუსიები, რომლებზეც განიხილეს ის ძირითადი რეზოლუციები, რომლებიც მიღებულ იქნა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით;

- დაიწყო თანამშრომლობა ორგანიზაციასთან ,,International Alert", რომელიც ახორციელებს სამშვიდობო ინიციატივათა მხარდაჭერას;
- სამთავრობო სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით ,,საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ". მონაწილეობა მიიღო 20 ახალგაზრდამ, ჩატარდა მასტერკლასები, მოეწყო შეხვედრები ცნობილ და წარმატებულ ხალხთან, სამშვიდობო ინიციატივებზე მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. მოეწყო გამოფენები ,,ქართული კალიგრაფია", ,,საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში";
- მინისტრის აპარატის პარტნიორობითა და აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ ,,საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი" შეიმუშავა საპროექტო განაცხადი, რომელიც განსახილველად წარედგინა ავსტრიის სპორტის სამინისტროს. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში დევნილთა ჩასახლებაში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებს კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნების მოწყობას, ასევე სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას. დონორი, ორგანიზაციის მოთხოვნის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო პროექტის მოსარგებლეები ყოფილიყვნენ იგპ-ები. ავსტრიის სპორტის სამინისტრომ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი პროექტი. პროექტის გამარჯვებამ შესაძლებელი გახადა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, სახელმწიფო მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია იქ მცხოვრები დევნილებისათვის. პროექტის განხორციელება დაწყებულია;
- მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევდა აფხაზეთიდან დევნილი ხელოვანი ახალგაზრდების ჩართულობას საერთაშორისო ბანაკში ,,Connecting Youth Through Art: EU-EaP Summer Camp 2017" ბაზალეთში, რომელიც გაიხსნა საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ევროკავშირის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით;
- სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში მინისტრის აპარატმა ჩაატარა კონფერენცია თემაზე ,,კულტურული დიალოგი და ახალგაზრდების როლი სამშვიდობო პროცესში". პროექტის მიზანი იყო ახალგზრდების როლის გააქტიურება პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, მათი ჩართულობის ხელშეწყობა ნდობის აღგენისა და მშვიდობის პროცესებში. მონაწილეობას იღებდა

საქართველოს მასშტაბით 30-მდე ახალგზარდა, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამავე კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება ბიზნეს ორგანიზაციასთან, რომელიც სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში ჩამოასხამს ღვინოს სახელწოდებით, რომელზეც შეთანხმდნენ მონაწილე ახალგაზრდები და კონფერენციის პარტნიორი ინსტიტუციები;

- პროგრამის ,,საზოგადოების ჩართულობა ნდობის აღგენისა და შერიგებისათვის" ფარგლებში, მინისტრის აპარატის პარტნიორობით, ა(ა)იპ ორგანიზაციამ ,,მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის" ქ. ბათუმში ორგანიზება გაუწია მასშტაბურ პროექტს ,,გაეროს ასამბლეა საქართველოში". მინისტრის აპარატი კოორდინებას უწევდა სხვადასხვა რეგიონის სასწავლებლების ახალგაზრდების ჩართულობას პროექტში.

გარდა ამისა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მიერ სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა მუჰაჯირობისადმი მიძღვნილი ბუკლეტები, რომლებშიც ასახულია უნიკალური ფოტომასალა.

აღსანიშნავია სსიპ „აფხაზეთის საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრის" საქმიანობა. ინფორმაცია გადის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ქართულად კვირას 19 საათზე, აფხაზურად – სამშაბათს 10 საათზე. ყველა გადაცემა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ სერვერზე. ასევე, გადაცემის აფხაზური და ქართული ვერსიები იტვირთება იუთუბ-ზე, ეგზავნება საქართველოს საელჩოებს საზღვარგარეთ და უცხოეთის საელჩოებს საქართველოში. რამდენიმე გადაცემა გაიგზავნა გაერო-ში, როგორც მნიშვნელოვანი ნივთმტკიცება ქართულ-აფხაზური მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებისა. გადაცემები შეუზღუდავად ხელმისაწვდომი გახდა ყველა დაინტერესებული პირისათვის, როგორც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. საანგარიშო პერიოდში მომზადდა და დაარქივდა სატელევიზიო მასალები. სისტემატურად შუქდებოდა დევნილთა სოციალური პრობლემები, მეომართა კავშირის და ვეტერანთა დეპარტამენტის საქმიანობა, ლეგიტიმური სტრუქტურების ყველა აქტივობა, ასევე სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები და საღამოები. შეიქმნა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. ეთერში გავიდა სიუჟეტი დევნილი მოსახლეობისათვის ახალი ბინების გადაცემის შესახებ. გარდა ამისა, ვრცელი გადაცემა მიეძღვნა ამერიკის კონგრესისა და ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ მიღებულ სრულ მხარდაჭერას. მომზადდა რეგულარული გადაცემა ,,კვირის თემა", რომელიც ასახავს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასახვასა და ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის გადაცემა ,,აფხაზეთი" დაჯილდოვდა ბრენდ გადაცემად.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებდა საქმიანობას სხვადასხვა პროგრამებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირები) ამბულატორიული დახმარების პროგრამა*

  - <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის (კონტრასტით) კომპონენტი</u>

    საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა სულ სამი ელექტრონული ტენდერი:

    I. შპს ,,ლანცეტი“ (ბიუჯეტი – 15 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 7 800 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 7 200 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 52 ეპიზოდს;

    II. შპს ,,დეკა“ (ბიუჯეტი – 20 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 10 049 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 9 951 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 67 ეპიზოდს;

    III. შპს ,,ვივამედი“ (ბიუჯეტი – 10 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 6 249 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 3 751 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 50 ეპიზოდს.

    ამრიგად, სამივე ტენდერის შედეგად ჯამში დაფინანსდა 149 ბენეფიციარი (169 ეპიზოდი), ხოლო ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 24 098 ლარი.

  - <u>ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევების კომპონენტი</u>

    საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა სულ სამი ელექტრონული ტენდერი:

    I. შპს ,,ლანცეტი“ (ბიუჯეტი – 65 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 39 999 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 25 001 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 240 ეპიზოდს;

    II. შპს ,,ავერსის კლინიკა“ (ბიუჯეტი – 24 161 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 23 500 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 661 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 74 ეპიზოდს;

III. შპს ,,ავერსის კლინიკა“ (ბიუჯეტი – 25 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 14 000 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 11 000 ლარი. პროგრამა მოიცავდა სულ 76 ეპიზოდს.

ამრიგად, სამივე ტენდერის შედეგად ჯამში დაფინანსდა 375 ბენეფიციარი (390 ეპიზოდი), ხოლო ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 77 499 ლარი.

- <u>ინსტრუმენტული გამოკვლევების (ელექტროენცეფალოგრაფია, დოპლეროგრაფია და ენდოსკოპიური კვლევების ცალკეული სახეები) კომპონენტი</u> ითვალისწინებდა ბენეფიციართა უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ინსტრუმენტული გამოკვლევების მიღებაში.

  გამოცხადდა სულ ორი ელექტრონული ტენდერი:

  I. შპს ,,კ. ერისთავის სახ. ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ (ბიუჯეტი – 10 000 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 7 999 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 2 001 ლარი. ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 131 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (138 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 7 859,15 ლარი;

  II. შპს ,,ავერსის კლინიკა“ (ბიუჯეტი – 3 500 ლარი) – გაფორმდა ხელშეკრულება 3 500 ლარზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 47 ბენეფიციარი (50 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 3 380 ლარი.

  ამრიგად, ორივე ტენდერის შედეგად ჯამში მომსახურებულ იქნა 178 ბენეფიციარი (188 ეპიზოდი), ხოლო ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 11 239,15 ლარი.

- <u>ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურების კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 20 000 ლარით. მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა სსიპ ,,მედიჰელფის“ სატენდერო თანხით 9 997,40 ლარი. ეკონომიამ შეადგინა 10 002,60 ლარი. პროგრამა მოიცავდა 74 ბენეფიციარის დაფინანსებას (ერთეულის ფასი – 135 ლარი).

  ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 54 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (74 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 9 997,40 ლარი. პროგრამის ლიმიტი ამოიწურა.

- <u>სამკურნალო რეაბილიტაციის კომპონენტის</u> განხორციელდა 2 ეტაპად:

  I. პირველი ეტაპი – ბიუჯეტი განისაზღვრა 35 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 23 995 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 11 005 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა 100 ბენეფიციარის მომსახურებას (კონსულტაცია და სარეაბილიტაციო მკურნალობის 20 პროცედურა):

- ❖ სქოლიოზის მძიმე ხარისხით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია – 15 ბენეფიციარი;
- ❖ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაცია – 25 ბენეფიციარი;
- ❖ მენტალური განვითარების დარღვევის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაცია – 15 ბენეფიციარი;
- ❖ 18 წლის ზევით ასაკის ნევროლოგიურ და ტრავმისშემდგომ პაციენტთა რეაბილიტაცია – 35 ბენეფიციარი;
- ❖ მიძმე პაციენტთა ბინაზე მომსახურების კომპონენტი – 10 ბენეფიციარი;
- ❖ კონსულტაცია – 100 ბენეფიციარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 100 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო მომსახურება და 90 კონსულტაცია. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 23 907 ლარი;

II. მეორე ეტაპი – ბიუჯეტი განისაზღვრა 6 405 ლარზე. ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა ,,დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 5 995 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 205 ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა 20 ბენეფიციარის მომსახურებას (კონსულტაცია და სარეაბილიტაციო მკურნალობის 20 პროცედურა):

- ❖ 18 წლამდე ასაკის ბავშვების რეაბილიტაცია/აბილიტაცია – 10 ბენეფიციარი;
- ❖ 18 წლის ასაკის ზევით ნევროლოგიურ და ტრავმისშემდგომ პაციენტთა რეაბილიტაცია – 10 ბენეფიციარი;
- ❖ კონსულტაცია – 20 ბენეფიციარი.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 20 ბენეფიციარის სარეაბილიტაციო მომსახურება და 20 კონსულტაცია. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 5 985,25 ლარი.

ამრიგად, ორივე ტენდერის ჯამში დაფინანსდა 120 ბენეფიციარი, მათ შორის – 54 ბავშვი. ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა სულ 29 892,25 ლარი.

- ➢ <u>უშვილობის დიაგნოსტიკის და პრევენციის კომპონენტ</u>ის ბიუჯეტი განისაზღვრა 5 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრმა ,,ენმედიცი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 5 000 ლარზე. პროგრამა ითვალისწინებდა

ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციებს, კლინიკო-ლაბორატორიულ გამოკვლევებს (101 ეპიზოდი).

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 16 ბენეფიციარის ამბულატორიული მომსახურება (101 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 5 000 ლარი. პროგრამის ლიმიტი ამოიწურა.

- <u>მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ავერსის კლინიკამ", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 10 000 ლარზე. პროგრამა ითვალისწინებდა ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციებს, პირველადი გამოკვლევების სკრინინგს და დამატებით გამოკვლევებს (სულ 195 ეპიზოდი).

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 120 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (195 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 10 000 ლარი.

- <u>ლაბორატორიულ-მორფოლოგიური (წვრილნემსიანი ასპირაციული FNA ბიოფსია, სხვადასხვა ბიოფსიური მასალის ციტოლოგიური კვლევა) კვლევების კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 10 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს აკ. ვ. ივერიელის სახელობის ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის ცენტრი ,,ენმედიცი", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 5 997 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 4 003 ლარი.

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 82 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (86 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 5 997 ლარი.

- <u>ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის კომპონენტის</u> განსახორციელებლად ჩატარდა ორი ელექტრონული ტენდერი. ორივეში გაიმარჯვა შპს ,,ახალი მზერამ":

  - I ტენდერი (ბიუჯეტი 25 000 ლარი). ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის დადებითი გადაწყვეტილებით დაფინანსდა 9 ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურება (16 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 25 000 ლარი;
  - II ტენდერი (ბიუჯეტი 14 662 ლარი). პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 6 ბენეფიციარი (10 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 14 662 ლარი.

  ამრიგად, ორივე ტენდერის ჯამში დაფინანსდა სულ 15 ბენეფიციარი (26 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა სულ 39 662 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, მათი ოჯახის წევრთა (მეუღლე), აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ტერიტორიაზე*

მცხოვრებთა (ნეიტრალური პასპორტის მქონე პირების) ჰოსპიტალური მკურნალობის პროგრამის კორონარული ანგიოგრაფიის და პერიფერიული არტერიოგრაფია კომპონენტი გულისხმობდა საპროგნოზო პერიოდში ჰოსპიტალური დახმარების პროგრამის რეალიზებას, რომლის კომპონენტები (კორონარული ანგიოგრაფიის მომსახურება და ორივე ზედა და ქვედა კიდურის პერიფერიული არტერიოგრაფია) მოიცავდა სახელმწიფო შესყიდვების გზით ბენეფიციარებისათვის იმ დახმარების გაწევას, რაც დარჩენილი იყო სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მომსახურების ჩამონათვალის მიღმა.

ბიუჯეტი განისაზღვრა 35 000 ლარით. ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,ლანცეტმა", რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 26 045 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 8 955 ლარი.

ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსდა 44 ბენეფიციარი:

- კორონაროგრაფია – 43 ეპიზოდი;
- ორივე ზედა და ქვედა კიდურის პერიფერიული არტერიოგრაფია – 1 ეპიზოდი.

ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა 16 415 ლარი.ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა სულ 25 695 ლარი.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სულ ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში (გარდა პროფსამედიცინო გასინჯვებისა) დახმარება გაეწია 1 153 ბენეფიციარს (3 782 ეპიზოდი). ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა სულ 239 789,80 ლარი.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო პერსონალისათვის მედიცინის თანამედროვე მიდგომების თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება. პროგრამა წარმოდგენილის რამდენიმე კომპონენტით:
  - <u>სამედიცინო გადამზადების კომპონენტის</u> ბიუჯეტმა შეადგინა 18 000 ლარი. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 14 580 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 3 420 ლარი. კომპონენტი ითვალისწინებდა 30 ექიმის, მათ შორის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე ექიმთა გადამზადებას (ერთი ექიმის გადამზადების ღირებულებაა 486 ლარი).

    საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე გადამზადება გაიარა ექიმთა 30-მა ექიმმა (სამი 10–კაციანი ჯგუფი), რომელთა შორის 17 – აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულებების

თანამშრომელი იყო, ხოლო დანარჩენი – რეგიონის (ზუგდიდი, ფოთი, ქუთაისი) წარმომადგენელი;

- <u>სამედიცინო პერსონალის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გადამზადების კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 15 000 ლარით. გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 15 000 ლარზე. გათვალისწინებული იყო 30 ექიმის (მათ შორის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე ექიმთა) გადამზადება. ერთი ექიმის გადამზადების ღირებულება შეადგენდა 500 ლარს.

  საანგარიშო პერიოდში ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე გადამზადების კურსი გაიარა 30 ექიმმა;

- <u>მენჯ-ბარძყის სახსრის ენდოპროთეზით დახმარების კომპონენტის</u> ბიუჯეტი განისაზღვრა 15 520 ლარით. პროგრამა ითვალისწინებდა მენჯ-ბარძყის სახსრის 8 ტოტალური ენდოპროთეზის (3 ცემენტიანი და 5 უცემენტო) შესყიდვას. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა შპს ,,ტიბია“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 15 520 ლარზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 8 ბენეფიციარი;

- <u>სამედიცინო დანიშნულების ცალკეული საგნებით უზრუნველყოფის კომპონენტი</u> ითვალისწინებდა წნევის აპარატების, ნებულაიზერების, გლუკომეტრების და გლუკომეტრის ტესტ-ჩხირების შესყიდვას. პროგრამის გამხორციელებისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამაღჯვებული გახდა შპს ,,მედინიუსი“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება 2 989 ლარზე. ეკონომიამ შეადგინა 1 911 ლარი. პროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნა 50 წნევის აპარატი, 15 ნებულაიზერი, 30 გლუკომეტრი და 27 შეფუთვა (№50) ტესტ-ჩხირი;

- <u>მძიმე პაციენტის მოვლისათვის საჭირო სამედიცინო საგნებით-საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი</u> მოიცავდა სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვას. ტენდერში გაიმარჯვა შპს ,,მედინიუსმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება 1 911 ლარზე. პროგრამის ფარგლებში შესყიდულ იქნა 13 დასახელების საგანი.

- *აფხაზეთიდან იგპ-თა გასვლითი პროფილაქტიკური სამედიცინო გასინჯვების პროგრამის* მიზანს წარმოადგენდა ადგილზე ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების გზით ავადობის აქტიური გამოვლენა, დევნილთა მედიკამენტებითა და ჰუმანიტარული ტვირთით უზრუნველყოფა.

  პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 75 000 ლარით. სულ გაისინჯა 1 920 პირი (7 200 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან). გაიხარჯა 44 111,86 ლარის მედიკამენტები. აქედან ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსული იყო 257 მოქალაქე, რომელთა მიერ

განხორციელდა 1 122 ვიზიტი ექიმთან და გაიცა 3 740 ლარის მედიკამენტი. ღონისძიებების ფარგლებში C ჰეპატიტის სკრინინგი ჩაუტარდა 283 მოქალაქეს, დადებითი ტესტი დაფიქსირდა 24 შემთხვევაში.

პროგრამის ფარგლებში:

- *დაბა წყნეთში* გაისინჯა 470-მდე მოქალაქე, განხორციელდა 1 450 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. გაიცა 14 477,39 ლარის მედიკამენტები. აღსანიშნავია გარეთვე, რომ აქციის ჩატარების დღიდან 2 კვირის ვადაში ექიმების დანიშნულებით და საჭიროებიდან გამომდინარე, წყნეთში დარეგისტრირებული 40-მდე ბენეფიციარი დაფინანსდა სამინისტროს სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში;
- *ქ. თბილისში, ნაძლადევის რაიონში, გუდამაყრის ქუჩაზე მდებარე დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებაში* გაისინჯა 100 მოქალაქე, განხორციელდა 250 ვიზიტი ექიმ-სპეციალისტთან. გაიცა 7 291,58 ლარის მედიკამენტები. 52 მოქალაქეს ჩაუტარდა C ჰეპატიტის და აივ ინფექციის სკრინინგი.
- *ქ. ბოლნისში (ბოლნისის მუნიციპალიტეტი)* გაისინჯა 200-მდე მოქალაქე, განხორციელდა 800-მდე ვიზიტი ექიმთან. გაიხარჯა 3 325,07 ლარის მედიკამენტები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც აფხაზეთიდან იგპ-ებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ;
- სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა *იმერეთის რეგიონში (წყალტუბო, ხონის მუნიციპალიტეტი).* ხონის მუნიციპალიტეტში გაისინჯა 200-მდე მოქალაქე, განხორციელდა 700-მდე ვიზიტი ექიმთან. წყალტუბოში სამედიცინო გასინჯვები ჩაუტარდა 220-მდე მოქალაქეს, განხორციელდა 1000-მდე ვიზიტი ექიმთან. გაიხარჯა სულ 8 600,25 ლარის მედიკამენტები. აქციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც აფხაზეთიდან იგპ-ებმა, ასევე ადგილობრივმა მოსახლეობამ.

  აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დანერგა სიახლე – იმერეთის რეგიონში, აქციის ჩატარებისას, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად ჩატარდა აქციის მონაწილე პირთა C ჰეპატიტის სკრინინგი. ხონის სამხედრო დასახლებაში გამოკვლეული იყო 66 ბენეფიციარი (დადებითი პასუხი დაფიქსირდა 8 შემთხვევაში), ხოლო წყალტუბოში – 80 ბენეფიციარი (6-ს აღმოაჩნდა დადებითი ტესტი). მათ დეტალურად განემარტათ შემდგომი ტაქტიკა.
- სამედიცინო გასინჯვები ჩატარდა *სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში:*
  - მესტიაში გაისინჯა 230-მდე მოქალაქე, განხორციელდა 1000-მდე ვიზიტი ექიმთან;

- ❖ ჭუბერში სამედიცინო გასინჯვები ჩაუტარდა 150-მდე მოქალაქეს, განხორციელდა 600-მდე ვიზიტი ექიმთან;
- ❖ ზუგდიდში გაისინჯა 350-მდე მოქალაქე, განხორციელდა 1400-მდე ვიზიტი ექიმთან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეგიდით და სამინისტროს ორგანიზებით, გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა ერთობლივი აქცია შპს ,,დავით აბულაძის ქართულ-იტალიურ კლინიკასთან", რომლის ფარგლებში ჩატარდა აფხაზეთიდან დევნილი მრავალშვილიანი დედების სამედიცინო-დიაგნოსტიკური გამოკვლევები. მიღებულ იქნა 22 ბენეფიციარი, რომელთაც ჩაუტარდათ ფარისებრი ჯირკვლის და მუცლის ღრუს ექოსკოპია, ეკგ, კარდიოლოგის, ოჯახის ექიმის, ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, ნევროლოგის და გინეკოლოგის კონსულტაციები, აგრეთვე საჭიროებისამებრ გაუკეთდათ პაპ-ტესტი და ნაცხის ბაქტერიოსკოპია.

ბავშვის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ,,ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკასთან" ერთად ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ბავშვთა სამედიცინო-დიაგნოსტიკური გასინჯვები. ბავშვებს გაეწიათ ვიწრო სპეციალისტების კონსულტაციები და, საჭიროებისამებრ, ჩაუტარდათ ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები. მომსახურებულ იქნა სულ 38 ბენეფიციარი, განხორციელდა 80-მდე ვიზიტი ექიმთან.

ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ნ. პატარკაციშვილის სახელობის მრავალპროფილური კლინიკასთან ,,დედაშვილობა" ერთობლივად ჩაატარა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქალბატონების სამედიცინო გასინჯვები. გაისინჯა 25-მდე ბენეფიციარი, განხორციელდა 60-მდე ვიზირი ექიმთან.

გარდა ამისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებდა როგორც აფხაზეთიდან დევნილი, ასევე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ხელშემწყობ საქმიანობას, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, განსახლებას. სამინისტროს დახმარებისათვის მიმართა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა აფხაზი ეროვნების 976-მა პირმა. სამინისტრომ განახორციელა აფხაზ პაციენტთა თანმხლები პირების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროექტი. რეფერალური ობიექტით ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 30-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესის" შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ორგანიზაციის ,,კამპუს ლაიონს კლუბ თბილისი“ თანამშრომლობის ფარგლებში 55 შაოსან დედას გადაეცა საყოფაცხოვრებო ნივთები. ამავე ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ლუკავების მრავალშვილიან ოჯახს გადაეცა სარეცხი მანქანა და პლაზმური ტელევიზორი.

ორგანიზაციასთან ,,საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ თანამშრომლობით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 30 პირს გადაეცა ადაპტირებული გადასაადგილებელი ეტლი.

<u>განათლება, კულტურა, სპორტი</u>

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- <u>,,სასკოლო ინფრასტრუქტურისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება“</u>

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:

  - სსიპ თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლა:
    - 1 583,4 ლარით საქვაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მასალების შესაძენად;
    - 4 996,36 ლარით სკოლის გარე პერიმეტრის აღსადგენად;
  - სსიპ ვ. ვეკუას სახელობის აფხაზეთის საჯარო სკოლა 2 395 ლარით სველი წერტილების მოსაწესრიგებელი სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მასალების შესაძენად;
  - სსიპ აფხაზეთის №1 საჯარო სკოლა 1 500 ლარით სკამების შესაძენად;
  - სსიპ აფხაზეთის №2 საჯარო სკოლა1 039,8 ლარით პრინტერისა და ლამინატის შესაძენად;
  - სსიპ აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა 1 990 ლარით კარ-ფანჯრების შესაძენად;
  - სსიპ აფხაზეთის №15 საჯარო სკოლა 2 997 ლარით ფანჯრების შესაძენად;
  - სსიპ აფხაზეთის №12 საჯარო სკოლა 413,80 ლარით სველი წერტილების რეაბილიტაციის მიზნით;
  - სსიპ აფხაზეთის №14 საჯარო სკოლა 2 094 ლარით კარ-ფანჯრების შესაძენად;
  - ოკუპირებული გალის რაიონის:
    - 31 საჯარო სკოლა 13196,72 ლარით საკანცელარიო ნივთების შესაძენად;
    - ოკუპირებული გალის რაიონის 31 საჯარო სკოლა და 8 სკოლამდელი დაწესებულება 3 288 ლარით 411 ცალი დამხმარე ლიტერატურის შესაძენად;

- ოტობაიას №1 საჯარო სკოლა 4 990 ლარით მუსიკალური აპარატის შესაძენად.

- ,,წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა“

  საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 229 განცხადება. პროექტით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით დაფინანსდა 167 წარმატებული ახალგზარდა აფხაზეთიდან.

- ,,კარიერის დაგეგმვის, პროფესიული განათლებისა და სკოლებში სახელობო-შემოქმედებითი ინიციატივების ხელშეწყობა“

  ქვეპროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, კომისიის მიერ გადაწყდა აფხაზეთის საჯარო სკოლებისათვის მცირე სახელოსნოს მოსაწყობად და საჭირო ნივთების შესაძენად 1 746,95 ლარის გამოყოფა. ასევე, სამინისტროში გაიმართა აფხაზეთის სკოლებში მოქმედი სახელობო ჯგუფებში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

  ამავე პერიოდში აფხაზეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები იმყოფებოდნენ ზუგდიდსა და თბილისში განთავსებულ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სასწავლებლებში (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესიული კოლეჯი ,,იკაროსი“ და სხვ.), სადაც ჩაუტარდათ ლექცია პროფესიული მიმართულებებისა და ინოვაციების შესახებ;

- ,,გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება”

  ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების 134 ბენეფიციარი -- 69 პედაგოგი და 65 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

- ,,შემეცნებითი საგანმანათლებლო პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მოზარდებისათვის“

  ქვეპროგრამის ფარგლებში:

  - ❖ ცენტრ ,,თანადგომასთან“ ერთად 10 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდს ჩაუტარდა შრომითი უნარ-ჩვევების განვითარების პრაქტიკული კურსი, რომელიც მოიცავდა 8 გაკვეთილს და შედგებოდა როგორც გონების გასააქტიურებელი სავარჯიშოებისაგან, ასევე თერაპიის ნაწილისაგან;

  - ❖ დაფინანსდა ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული მედიაკავშირის პროექტი ,,აქტიური ცხოვრება ჩვენი სტიქიაა“. რომელიც ეხებოდა შშმ მოზარდების და ახალგზარდების საზოგადოებაში ინტეგრირებასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;

- ❖ გალერეა ,,სფუმატოში“ გაიმართა შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები. ადაპტირებულ დარბაზში მოეწყო შშმ პირთა სხვადასხვა აქტივობების ამსახველი ფოტოგამოფენა;
- ❖ გაიმართა პარაოლიმპიური სახეობის ,,ბოჩა“ შეჯიბრი შშმ პირებისა და ღონისძიებების სტუმრების მონაწილეობით. შეჯიბრის შემდგომ გაიმართა კონცეერტი, სადაც მონაწილეობდა უსინათლოთა ანსამბლი ,,რელიქვია“, ხოლო სპორტული ცეკვები წარმოდგენილ იქნა ეტლით მოსარგებლე პარამოცეკვავე წყვილთა მიერ;

- <u>,,საზაფხულო ბანაკი“</u>

  საანგარიშო პერიოდში მაღალი აკადემიური მოსწრების, საზოგადოებრივ და სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის მიხედვით შერჩეულმა 30 მოსწავლემ აფხაზეთის საჯარო სკოლებიდან და ოკუპირებული ტერიტორიიდან დაისვენა ქობულეთში, გაიარა ტრენინგები, მონაწილეობა მიიღო სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში, მოეწყო ექსკურსია ურეკში. ბენეფიციარებმა მოინახულეს მაჭახელას ხეობაში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები: გვარასციხე, ამბრაზურას და ცხემლარას თაღოვანი ხიდი, მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

- <u>,,აფხაზეთის მოზარდები მედია პროექტში ,,ეტალონი“</u>

  მედია პროექტში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 43 მოზარდმა. გამარჯვებული გახდა აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის მოსწავლე.

- <u>,,აფხაზური ენის პედაგოგების გადამზადების ქვეპროგრამა“</u>

  განხორციელდა აფხაზური ენის პედაგოგების პროფესიული განვითარების ტრენინგი მასწავლებელთა განვითარების პროფესიული ცენტრის მიერ შექმნილი აფხაზური ენის პედაგოგების გადამზადების ტრენინგ-მოდულის მიხედვით. გადამზადება გაიარეს აფხაზეთის საჯარო და ოკუპირებული გალის რაიონის საშუალო სკოლის აფხაზური ენის პედაგოგებმა, მასწავლებლობის მსურველმა პირებმა (6 ბენეფიციარი).

- <u>,,დიმიტრი (არზაყან) ემუხვარისა და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიები“</u>

  ქვეპროგრამის ფარგლებში შექმნილმა კომისიამ განიხილა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შემოსული 9 წარდგინება-რეკომენდაცია. შედეგად, ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია მიენიჭა 2 სტუდენტს, ხოლო დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდია – 2 სტუდენტს.

- <u>კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა</u>

  პროგრამა ემსახურება ქვეყანაში არსებული აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, განვითარებას, პოპულარიზაციას. აფხაზეთისა და საქართველოს შემოქმედებით ორგანიზაციებს შორის ტრადიციული

კულტურული კავშირების განმტკიცებას, ხელოვნების სფეროში თავისუფალი, დაცული და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქვეპროგრამა *ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაცია,* რომელიც ითვალისწინებდა საქართველოსა და საერთაშორისო აუდიტორიის წინაშე აფხაზეთის კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების წარდგენას, როგორც ერთიანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილისა, ასევე ხელოვანების, შემოქმედებითი კოლექტივებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ფინანსურ მხარდაჭერას მათი კონკურსებში, ფესტივალებში, კულტურის დღეებში და ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. პროგრამის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა ღონისძიებები, გამოფენები, გასტროლები საზღვარგარეთ. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური“ სახლის პროექტის „მსოფლიო ხვდება საქართველოს“ ფარგლებშიც შედგა ქართულ-აფხაზური კულტურის საგანძურის ექსკლუზიური კოლექციათა ფოტო-რეპროდუქციების გამოფენა-პრეზენტაცია და სამეცნიერო-პოპულარული დისკუსია გამართა ბრიუსელსა და ლუვენში. ამავე პროგრამის ფარგლებში შ. რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრში განსხვავებული ფორმატით აღინიშნა ,,აფხაზეთის დღე“.

ამავე პერიოდში შედგა გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის კომისიის სხდომა. 3 პირი გახდა გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო 3000 ლარი, ასევე ლაურეატის დამადასტურებელი დიპლომები და მოწმობები;

- <u>აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა</u>

პროექტის ფარგლებში:

- დაფინანსდა სორბონის უნივერსიტეტის დოქტორანტის ნანა გაგუას მგზავრობა საფრანგეთში სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებით, რომლის თემა იყო ,,შეიარაღებული ძალების როლი საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ფიბრიდული ომებისა და რეგიონალური გამოწვევების პირობებში“;
- დაფინანსდა ბიოლოგიის დოქტორის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნონა მიქაიას მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ეხება მის მონაწილეობას სან დიეგოში დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებით ,,ენტომოპათოგენური ნემატოდებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი კონცეფციის დადგენა და განვითარება“;
- გამოიცა ნაშრომები:
  - მელორ ალფენიძე – ,,ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხები - ისტორია და თანამედროვეობა“ (მასალები);

- ❖ ნოდარ ბერულავა – ,,სამხედრო საქმე და შეარაღებული ძალები ახ.წ. V-VIII ს.ს. ევროპაში“ (შეიარაღება, ორგანიზაცია, საომარი ხელოვნება, სამხედრო ისტორიის ძირითადი მოვლენები);
- ❖ ნენო გაბუნია – ,,აფხაზეთის ეთნიკური კონფლიქტის ტრანსფორმაციის ისტორიული და სოციალური მიზეზები“ (ინგლისურ ენაზე);
- ❖ თამილა ზვიადაძე – ,,მწერლის ენობრივი სამყარო“;
- ❖ მედეა კვარაცხელია – ,,აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან“;
- ❖ ოთარ ჟორდანია – ,,ილია ვეკუა-110“;
- ❖ ხვიჩა ქარდავა – ,,აფხაზეთის ტრაგედია: ისტორიული, პოლიტიკური და სამატებრივი ასპექტები“;
- ❖ დავით ჯალაღონია – ,,საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“ (კონფერენციის მასალები);
- ❖ დაზმირ ჯოჯუა – ,,რუსეთი და 1992-1993 წლების ომი აფხაზეთში (ინგლისურ ენაზე);

- <u>,,სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“</u>

  ქვეპროგრამის ,,სპორტულ ინიციატივათა მხარდაჭერის ქვეპროგრამა“ ფარგლებში აფხაზეთის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ღია პირველობებში და საერთაშორისო ტურნირებში სპორტის სხვადასხვა სახეობებში. დაფინანსდა სპორტსმენთა მგზავრობა შეჯიბრებებზე, შეძენილ იქნა სპორტული ინვენტარი.

ასევე, საანგარიშო პერიოდში:

- ➢ გამოცემულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქიტექტურულ-ისტორიული ნაგებობების 400 ცალი მაღალი პოლიგრაფიის ინგლისურენოვანი რუკა, რომლებზედაც დატანილ იქნა 176 არქიტექტურული ნაგებობის კოორდინატი არსებული მდგომარეობის მითითებით;
- ➢ შედგა ფოტოკონკურსი ,,აფხაზეთის ისტორიულ-ატქიტექტურული ძეგლები“.

ეკონომიკის სფერო

<u>ბიზნეს სექტორი</u>

2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავს როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ასევე სსიპ “საწარმოთა მართვის სააგენტო”, საშუალოდ 1 538

(მ.შ. IV კვარტალში – 1 546) კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 17 275,4 (მ.შ. IV კვარტალში – 5 277,9) ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 937,9 (მ.შ.IV კვარტალში– 1 138,0) ლარი.

დიაგრამა № 4: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2017-2016 წ.წ. მოქმედ ფასებში



როგორც №4 დიაგრამიდან ჩანს, 2017 წლის საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში ერთ მომუშავეზე დაფიქსირდა 937,9 ლარის დონეზე, რაც 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან (886,0 ლარი) შედარებით გაიზარდა 5,9 პროცენტით.

პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2017 წელს ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 73 897,3 (მ.შ. IV კვარტალში – 8 857,7) ათასი ლარით.

[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

დიაგრამა № 5: პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2017-2016 წ.წ.





დიაგრამიდან №5 ჩანს, რომ 2017 წელს პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (52 515,2 ათასი ლარი) გაიზარდა 21 382,1 ათასი ლარით ანუ 40,7 პროცენტით.

საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (98,9%) მოდის ენერგეტიკაზე – 73 105,1 (მ.შ. IV კვარტალში – 8 651,5) ათასი ლარი, ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 762,1 (მ.შ. IV კვარტალში – 206,2) ათასი ლარი მათ შორის სამედიცინო პროფილის (პოლიკლინიკები) – 751,8 (მ.შ. IV კვარტალში – 201,0) ათასი ლარი.

2017 წელს ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 4 433,6 (მ.შ. IV კვარტალში – 706,5) მლნ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (4 199,8 მლნ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 5,6%-ით.

საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1 158 (მ.შ. IV კვარტალში – 1 172) კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 120,6 (მ.შ. IV კვარტალში – 1 379,8) ლარით, რაც 3,9 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 077,7 ლარი) შედარებით.

დიაგრამა № 6: ენერგოსაწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2017-2016 წ.წ.



დიაგრამა № 7: საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2017-2016 წ.წ.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ სახელმწიფო წილით დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირების შედეგები

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მართვაშია 17 შპს. 14 საწარმო წარმოადგენს სამედიცინო პროფილის დაწესებულებას (პოლიკლინიკები), რომელთაგან 7 მდებარეობს ქ. თბილისში. 7 პოლიკლინიკა განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ:

- ქუთაისში - შპს ,,დევნილთა საოჯახო ცენტრი ,,ბიჭვინთა";
- წალენჯიხაში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ჯვრის ამბულატორია";
- ხობში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა";
- წყალტუბოში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა";
- სენაკში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ სენაკის პოლიკლინიკა";
- ზუგდიდში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ზუგდიდის პოლიკლინიკა";
- ფოთში - შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ფოთის პოლიკლინიკა".

2017 წელს, წინასწარი მონაცემებით, აღნიშნული შპს-ების საერთო შემოსავალმა შეადგინა 2 320 966 ლარი, მოგებამ – 142 863 ლარი, წმინდა მოგებამ – 121 435 ლარი. ხარჯები განისაზღვრა 2 188 137 ლარით. მოგების გადასახადმა შეადგინა 21 428 ლარი, მოგების თანაფარდობამ შემოსავალთან – 6,2%.

შპს-ების საერთო შემოსავალი 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (2 262 598 ლარი) შედარებით გაიზარდა 88 368 ლარით ანუ 4%-ით.

2017 წლის მეორე ნახევარში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტმა მოახდინა შპს-ების გარკვეული ნაწილის შემოწმება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. გამოვლენილი დარღვევების გამო მათ დაუწესდა საჯარიმო სანქციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს-ების 2017 წლის ფინანსური მოგება 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (2016 წელს – 152 744 ლარი) შედარებით შემცირდა 9 881 ლარით ანუ დაახლოებით 6,5%-ით, ხოლო წმინდა მოგება (2016 წელს – 129 833 ლარი) – 8 398 ლარით (6,5%).

სსიპ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ,,ბიზნესინკუბატორი" (შემდგომ – ,,ბიზნესინკუბატორი") მონაცემებით, სარგებლობაში არსებული ფართებიდან (სულ 17 267,36 $მ^2$) კომერციულად დატვირთული იყო 5 854,78 კვ.მ. საანგარიშო პერიოდში ,,ბიზნესინკუბატორში" მოქმედ კომპანიებში დასაქმებული იყო 87 ადამიანი, აქედან – 28 დევნილი. 51 პირს, რომელთაც გაიარეს სტაჟირების კურსი, გადაეცათ სერტიფიკატები. 12 სტაჟიორი დასაქმდა სხვადასხვა ორგანიზაციაში. სასათბურე მეურნოებებში მუშაობდა 160 პირი, რომელთაგან 50% იყო იგპ.

ამავე პერიოდში დამატებით იჯარით გაიცა 216 კვ.მ.ფართი. ამოქმედდა ხის დამამუშავებელი საამქრო. ასევე, ახალგადმოცემული ფართიდან იჯარით გაიცა 1403,78 კვ.მ ფართი, სადაც დამონტაჟდა დანადგარები და დაიწყო პლასტმასის მილების წარმოება. აგრეთვე, 324 კვ.მ. ფართზე ფუნქციონირებდა ავტომობილების შეკეთების სახელოსნო, სადაც დასამებეული იყო 5 ადამიანი.

2017 წელს ,,ბიზნესინკუბატორის" შემოსავლებმა სულ შეადგინა 40 000 ლარი, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს (29 402 ლარი) აღემატება 10 598 ლარით ანუ 36,0%-ით.

სოფლის მეურნეობა

2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებებს წარმოადგენდა დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის დახმარება მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის საკითხებში, კოლხური ბზის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულობა, ფერმერთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კონსულტირება, გარემოსდაცვითი საქმიანობა, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით საარსებო წყაროებზე წვდომის ხელშემწყობი საქმიანობა.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში:

- გამოქვეყნდა ინფორმაციული ხასიათის 50 ბიულეტენი ,,სასათბურე კონსტრუქციები და მათი მოწყობის პრინციპები", რომლებიც დაურიგდა იგპ-თა იმ კატეგორიას, რომლებიც პრაქტიკულად დაკავებულნი არიან სასათბურე ბიზნესით ან აპირებენ საქმის დაწყებას. ბიულეტენები ასევე დაურიგდა დევნილთა წარმომადგენლობებს რეგიონებში აღნიშნულ სფეროში დასაქმების მსურველთა ინფორმაციული ხელშეწყობისათვის;
- დასრულდა მუშაობა ორ ცნობარზე – ,,აბრეშუმის პარკის წარმოება" და ,,ჟოლოს მოყვანა";
- 12 დევნილს გაეწია კვალიფიციური კონსულტაცია მეფუტკრეობაში, ჩაის წარმოებასა და მეკურდღლეობის განვითარების საკითხთან დაკავშირებით, ასევე მიეწოდათ სწორი რჩევები სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. გარდა ამისა, დეპარტამენტი ეხმარებოდა დევნილებს სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენაში;
- შემუშავდა 30-მდე სხვადასხვა სახის საინვესტიციო პროექტი, რომლებშიც გამოყენებულ იქნა რიგი ინოვაციური მიდგომები და იდეები, მ.შ. კარტოფილის, ვაშლის ჩიფსების წარმოება, თხილის გაწმენდა-მოხალვა, ნამცხვრების მოჭიქურება

და დეკორირება, კომბინირებული საკვების გრანულების წარმოება, ხილის მშრალი კონცენტრატების დაფასოება და სხვა;

- ჩატარებულ იქნა ანალიტიკური საქმიანობა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში იგპ-თა ჩართულობის თაობაზე, რის საფუძველზეც დაისახა სამომავლო სამოქმედო გეგმა დევნილთა პრობლემების მოგვარების ხელშეწყობისათვის;
- ჟურნალში ,,აგრარული საქართველო“ გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის სპეციალისტთა 8 ნაშრომი, რომლებიც, თავის მხრივ, საკონსულტაციო ფუნქციების მატარებელია ფერმერთათვის;
- საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის მიერ გამოიცა ერთობლივი წიგნი ,,გზა ფერმერობისაკენ“, სადაც აღწერილია საქართველოში გავრცელებული 60-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოების ტექნოლოგია, ასევე მათი წარმოებისათვის აუცილებელი ფაქტორების – კლიმატის, ნიადაგის ტიპების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოცულობისა და სხვა პირობების მიმოხილვა რეგიონების (9 რეგიონი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები) მიხედვით.

,,აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების თანახმად, გალის რაიონის 6000 ჰექტარის თხილის ფართობის დამუშავებისათვის მუშახელის შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად აფხაზეთის მთავრობას გამოეყო 300 000 ლარი, ასევე ქიმიური პრეპარატი ,,ზონდერი“, ზეთი შემსხურებელი აპარატისათვის და შესაბამისი სპეცაღჭურვილობა. საერთაშორისო ორგანიზაციამ ,,USAID REAP“ გადასცა შემსხურებელი აპარატები და ,,ფერომონი“ (წებოვანი ფირფიტებით). დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩამოყალიბებულ იქნა სამუშაო ჯგუფები 362 წევრის შემადგენლობით გალის რაიონის სოფლების მიხედვით, განაწილდა პრეპარატი, შემსხურებელი აპარატები და დამცავი საშუალებები. აღსანიშნავია, რომ დამუშავებულ იქნა მხოლოდ 3 595 ჰა თხილის ნარგავის ფართობი, ვინაიდან აფხაზურ მხარესთან შეთანხმების მიუხედავად (ზემოხსენებული პრეპარატები, ზეთი და სპეცაღჭურვილობის სათანადო რაოდენობა საერთაშორისო ორგანიზაციას ACF უნდა გადაეტანა გალის რაიონში) განაწილდა მიღებული ქონების მხოლოდ ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებით დეპარტამენტის სპეციალისტები თანამშრომლობენ მეცნიერთა ჯგუფებთან არსებული ტრადიციული ქიმიური მეთოდების ალტერნატიული, ბიოლოგიური ტექნოლოგიების შემუშავებისათვის.

პარალელურად მიმდინარეობდა სამუშაოები თხილის კვირტის ტკიპით დაზიანებული ნარგავების დასამუშავებლად. დამუშავდა 800-ზე მეტი ჰექტარი.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ:

- 1700-მდე შინაური ცხოველსა და 3 000-მდე ფუტკრის ოჯახს ჩაუტარდა საპროფილაქტიკო-სამკურნალო ღონისძიებები;
- 20000 სულ შინაურ ცხოველს ჩაუტარდა ,,თურქულის“, ,,ჯილეხის“, ,,ცოფისა“ და ,,ნოდულარული დერმატიტის“ საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სისტემატურად კონტროლდებოდა სასმელი წყლის ხარისხი.

საანგარიშო პერიოდში, სანერგე მეურნეობებში წარმოებდა კოლხური ბზის ნერგების მოვლის, საასთბურე მეურნეობებისა და სრულყოფის მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ 14 ბენეფიციარის მიერ აღებული ვალდებულებები შესრულდა და აღებულ იქნა პირველი მოსავალიც. გარდა ამისა, სსიპ ,,დასუფთავებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“ გადმოეცა ქ. თბილისში, თელეთში მდებარე მიწის ნაკვეთიდან 15 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი ,,კოლხური ბზის“ სანერგე მეურნეობისა და მოვლა-შენახვის მიზნით.

სისტემატურად ტარდებოდა ტერიტორიის დასუფთავებისა და გამწვანების სამუშაოები.

გარემოს დაცვის სამმართველოს თანამშრომლები ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო და საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სატყეო დარგის პროექტებსა და საგრანტო პროგრამებში.

სახელმწიფო ქონების მართვა და პრივატიზება

სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის დეპარტამენტი საანგარიშო პერიოდში განკარგავდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილ უძრავ და მოძრავ ქონებას, კერძოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადმოეცა:

მოძრავი ქონება

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება TOYOTA LAND CRUISER-100 სახ. ნომრით JQJ-327, 2007 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით, საწყისი საბალანსო ღირებულებით 72 450,0 ლარი, საბალანსო ღირებულებით გადმოცემის პერიოდისათვის 40 062,40 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 13 140,46 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა TOYOTA RAV4

სახ. ნომრით OB033BO, 2001 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით EV0413262, საწყისი საბალანსო ღირებულებით 19 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული:
  - ➢ ავტოსატრანსპორტო საშუალება ნისან პესფაინტერი, სახ. ნომრით CAA104, 1997 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით №JN8ARD5Y7VWL55968, საწყისი საბალანსო ღირებულებით 15 941,21 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 1 657,85ლარი;
  - ➢ ავტოსატრანსპორტო საშუალება ,,მიცუბიში პაჯერო“ სახ. ნომრით LR 903 RR, 2007 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JMYLRV93W7J715257, საწყისი საბალანსო ღირებულებით 51 270,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - ➢ ავტოსატრანსპორტო საშუალება ,,Honda CRV“ სახ. ნომრით TLT581, 2000 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JHLRD17661S005868, საწყისი საბალანსო ღირებულებით 15051,6 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 1 565,36 ლარი;
  - ➢ აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას – ავტომანქანა ,,მერსედეს ბენცი“ სახ. ნომრით VIP 267, 1995 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით WDB2100371AO15361, საწყისი ღირებულებით 13 189,98 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 1 371,74 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ:
  - ➢ ავტომანქანა UAZ39629 სახ. ნომრით TDT676, 2008 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით XTT39629080436614, ნარჩენი ღირებულებით 8 000,0 ლარი;
  - ➢ ავტომანქანა UAZ396259 სახ. ნომრით YGL162, 2006 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით XTT396259604475130, ნარჩენი ღირებულებით 7 000,0 ლარი;
- სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მიერ:
  - ➢ 7200 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი;
  - ➢ ზურგსაკიდი შემსხურებელი აგრეგატი SOLO PORT 423 (182 ცალი);
  - ➢ დამცავი კომბინიზონი 2910 ცალი;
  - ➢ რესპირატორი 370 ცალი;
  - ➢ დამცავი ხელთათმანი 740 წყვილი;
  - ➢ დამცავი სათვალე 370 ცალი;
  - ➢ ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) 800 ცალი;
  - ➢ ორტაქტიანი ძრავის ზეთი 960 ლიტრი;

- საქართველოს პარლამენტის მიერ:
  - კონდიციონერი Vestel – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 1 054,88 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 632,92 ლარი;
  - საოფისე მაგიდა – 3 ცალი საწყისი ღირებულებით 150,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 150,0 ლარი;
  - საოფისე მაგიდა – 2 ცალი საწყისი ღირებულებით 138,06 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 138,06 ლარი;
  - საოფისე მაგიდა – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 250,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 250,0 ლარი;
  - კარადა – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 200,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 200,0 ლარი;
  - კარადა – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 170,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 170,0 ლარი;
  - სავარძელი გორგოლაჭიანი – 2 ცალი საწყისი ღირებულებით 1 247,22 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 873,06 ლარი;
  - სკამი საოფისე – 10 ცალი საწყისი ღირებულებით 28,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 28,0 ლარი;
  - ქსეროქსის აპარატი Toshiba studio 167 – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 1 171,18 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - გაზის გამათბობელი – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 200,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 200,0 ლარი;
  - ნოუთბუქი GREAT WALL – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 3 565,1 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 2 139,06 ლარი;
  - ნოუთბუქი Fujitsu UH552 – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 1 370,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 274,0 ლარი;
  - პერსონალური კომპიუტერის კომპლექტი VENTO A8 ASUS – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 1 114,6 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - კომპიუტერის კესის HDD500 – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 537,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 107,4 ლარი;
  - მონიტორი PHILIPS – 1 ცალი საწყისი ღირებულებით 187,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 187,0 ლარი;
  - ავტომანქანა ,,ფოლცვაგენ ტუარეგი“ სახ. ნომრით XNX161, 2008 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით WVGZZZ7LZ8D056945, საწყისი ღირებულებით 100 300,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
  - ავტომანქანა ,,მიცუბიში/პაჯერო“ სახ. ნომრით VVS041, 2007 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JMYLRV93W7J715457, საწყისი ღირებულებით 51 270,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი.
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის მიერ – ავტომანქანა SUBARU FORESTER სახ. ნომრით SL 289 SL,

2005 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით AL9599825, საწყისი საბალანსო ღირებულებით 13 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 5 790,0 ლარი;

- შპს ,,ავტოტრანსსერვისი“ მიერ – ავტომანქანა ,,ტოიოტა ლენდ კრუიზერი“ სახ. ნომრით JOJ327, 2007 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით JTECJ09JX05512286, საწყისი საბალანსო ღირებულებით 72 450,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 13 140,46 ლარი.

უძრავი ქონება

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის (აღმოსავლეთი) ბალანსზე რიცხული გარდაბნის რაიონში, სოფ. ვაზიანის სამხედრო ქალაქი №1 (513 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი №81.10.30.726.) და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა გ.გ.№109 ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი (აშენების თარიღი 1970 წ.) ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 18 040,59 ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა:

მოძრავი ქონება

- შპს ,,ავტოტრანსსერვისს“:
  - ➢ ავტომანქანა TOYOTA RAV4 სახ. ნომრით OB033BO, 2001 წლის გამოშვება, სარეგისტრაციო მოწმობის ნომრით EV0413262, საწყისი საბალანსო ღირებულებით 9 064,26 ლარი;
  - ➢ სატრანსპორტო საშუალება TOYOTA LAND CRUISER-100 სახ. ნომრით JQJ-327, 2007 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JTECJ09JX05512286, საწყისი საბალანსო ღირებულებით 72 450,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 13 140,46 ლარი;
  - ➢ ავტოსატრანსპორტო საშუალება ნისან პესფაინტერი, სახ. ნომრით CAA104, 1997 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით №JN8ARD5Y7VWL55968, საწყისი საბალანსო ღირებულებით 15 941,21 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 1 657,85ლარი;
  - ➢ ავტომანქანა ,,მერსედეს ბენც C 200“, სახელმწიფო ნომრით FVF-308, საიდენტიფიკაციო ნომრით WDB2030451A008609, გამოშვების წელი 2000, საწყისი ღირებულებით 15 000,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 8 690,29 ლარი;
  - ➢ ავტომანქანა ,,ოპელ ვექტრა 1,6“ სახელმწიფო ნომრით HLH-262, საიდენტიფიკაციო ნომრით WOL000089S7597722, გამოშვების წელი 1995, საწყისი ღირებულებით 1571,18 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატას:

- მაგიდა – 2 ცალი საბალანსო ღირებულებით სულ 530,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით სულ 52,15 ლარი;
- მცირეფასიანი ინვენტარი – მაგიდა საბალანსო ღირებულებით 222,79 ლარი.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს:
  - 7200 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი;
  - ზურგსაკიდი შემსხურებელი აგრეგატი SOLO PORT 423 (182 ცალი);
  - დამცავი კომბინიზონი 2910 ცალი;
  - რესპირატორი 370 ცალი;
  - დამცავი ხელთათმანი 740 წყვილი;
  - დამცავი სათვალე 370 ცალი;
  - ხმაურის ჩამხშობი (ყურის საცობი) 800 ცალი;
  - ორტაქტიანი ძრავის ზეთი 960 ლიტრი.
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს:
  - 2500 ლიტრი ინსექტიციდი ზონდერი 100 EK;
  - 2500 ცალი ფერომონის დამჭერი;
- შპს ,,აფხაზეთიდან იგპ ოფთალმოლოგიურ კლინიკას“ – მეორადი გამოყენების მულტიფუნქციური პრინტერი ,,Canon MF3228“ საბალანსო ღირებულებით 40,0 ლარი;
- სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს:
  - ავტომანქანა UAZ39629 სახ. ნომრით TDT676, 2008 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით XTT39629080436614, ნარჩენი ღირებულებით 8 000,0 ლარი;
  - ავტომანქანა UAZ396259 სახ. ნომრით YGL162, 2006 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით XTT396259604475130, ნარჩენი ღირებულებით 7 000,0 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს – ავტომანქანა ,,მიცუბიში/პაჯერო“ სახ. ნომრით VVS041, 2007 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით JMYLRV93W7J715457, საწყისი ღირებულებით 51 270,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- სსიპ ,,საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს“:
  - სამანიპულაციო მაგიდა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 436,61 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 150,0 ლარი;
  - გორგოლაჭებიანი მაგიდა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 190,8 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 90,0 ლარი;
  - კარადა ცალმხრივი ნიჟარით – საწყისი საბალანსო ღირებულებით 362,87 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 80,0 ლარი;

- სამზარეულო კარადა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 571,44 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 35,0 ლარი;
- კომპიუტერის მაგიდა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 620,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 70,0 ლარი;
- მაცივარი – საწყისი საბალანსო ღირებულებით 850,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 350,0ლარი;
- გაზქურა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 330,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 100,0 ლარი;
- მტვერსასრუტი – საწყისი საბალანსო ღირებულებით 170,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 50,0 ლარი;
- ნაჭრის სამეული – საწყისი საბალანსო ღირებულებით 800,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 250,0 ლარი;
- სამზარეულო მაგიდა – საწყისი საბალანსო ღირებულებით 120,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 40,0 ლარი;
- ტელევიზორი – საწყისი საბალანსო ღირებულებით 220,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 60,0 ლარი;
- ტელევიზორის სადგამი – საწყისი საბალანსო ღირებულებით 260,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 70,0 ლარი;
- საბანი თეთრეულით (4 კომპლექტი) – საწყისი საბალანსო ღირებულებით 608,0 ლარი, მთლიანი საბალანსო ღირებულებით 100,0 ლარი.

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტს – ავტომანქანა ,,ფოლცვაგენ ტუარეგი“ სახ. ნომრით XNX161, 2008 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით WVGZZZ7LZ8D056945, საწყისი ღირებულებით 100 300,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 0,0 ლარი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას – ბუნებრივი აირით გამათბობელი საბალანსო ღირებულებით 200,0 ლარი;
- აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობას – ავტომანქანა ,,მერსედეს ბენცი“ სახ. ნომრით VIP 267, 1995 წლის გამოშვება, საიდენტიფიკაციო ნომრით WDB2100371AO15361, საწყისი ღირებულებით 13 189,98 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 1 371,74 ლარი;
- სსიპ ,,აფხაზეთის გამწვანებისა და გარემოსდაცვითი პროექტების სააგენტოს“:
  - ნოუთბუქი ,,Great Wall” – 1 ცალი საწყისი საბალანსო ღირებულებით 3 565,10 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 2 139,06 ლარი;
  - მაგიდა – 4 ცალი საერთო საწყისი საბალანსო ღირებულებით 676,12 ლარი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს – გორგოლაჭიანი სავარძელი საწყისი საბალანსო ღირებულებით 623,61 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 436,53 ლარი;

სხვა სამუშაოები:

- დეპარტამენტი ახორციელებს სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე.
- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2016 წლის, 2017 წლის I კვარტლის, 6 თვის და 9 თვის ფინანსური ანგარიშები;
- საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით (ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებისათვის), ფულადი სახსრების დეფიციტის პირობებში, მისი ეფექტური და სწორი გამოყენების მიზნით, შემუშავებულ იქნა წინადადებები, კერძოდ ლიზინგის წესით საჭირო და აუცილებელი ძვირადღირებული სამედიცინო მანქანა-დანადგარების შეძენის შესახებ;
- საწარმოთა ფართით უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან.

გეოლოგია

აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტო საანგარიშო პერიოდშიმუშაობდა 2017 წლის დამტკიცებული სამუშაო გეგმის შესაბამისად. კერძოდ:

- შესწავლილ იქნა აფხაზეთის მინერალური რესურსული კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველი;
- მოძიებულ იქნა საქართველოს გეოლოგიურ ფონდებში აფხაზეთის ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიურ-მინერაგენიული მასალები;
- გეოლოგიურ ფონდებში არსებული ანგარიშების საფუძველზე მოძიებულ იქნა საბადოები სამშენებლო მასალებისათვის და ქიმიური მრეწველობისათვის;
- მომზადდა ინფორმაცია სათბობ-ენერგეტიკული დარგის, მიწისქვეშა სასმელი მტკნარი და მინერალური წყლების შესახებ.

საქვეუწყებო დაწესებულება – ინფრასტრუქტურისა და დარგობრივ საკითხთა დეპარტამენტი

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კომპაქტურად ჩასახლებული იგპ-ების საცხოვრებელი შენობა-ნაგებობების საინჟინრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი,

საჭირო სარემონტო სამუშაოების მოცულობის დადგენა და შესაბამისი დეფექტური აქტების, ტექნიკური დოკუმენტაციების შედგენა.

აღნიშნულ პერიოდში, აფხაზეთის მთავრობის დავალების თანახმად, შემუშავებულ და წარმოდგენილ იქნა კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად გადაუდებელი სამუშაოების საორიენტაციო ღირებულებები რეგიონების მიხედვით. დადგენილ იქნა 87 ობიექტი, რომელიც მოითხოვს გადაუდებელი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და არსებული პრობლემების გასაცნობად დეპარტამენტის თანამშრომლები მივლინებულ იყვნენ სენაკში, ბათუმში, ფოთსა და ზუგდიდში აფხაზეთიდან იგპ-თა კომპაქტურად ჩასახლებულ ობიექტებში. კერძოდ:

- ბათუმში, ბენზეს დასახლებაში იგპ-თა ბინაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეიცვალა საკანალიზაციო სისტემა. შედგა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა და ნახაზი;
- ფოთში, მალთაყვას დასახლებაში მცხოვრები დევნილების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით ქალაქის მერთან შეხვედრისას გადაწყდა შენობის აშენება, რომლის პირველ სართულზე განთავსდება ბაზრობა, ხოლო მეორე სართულზე – სარიტუალო დარბაზი. პროექტი მოწოდებულ იქნა ფოთის მერიის მიერ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკებები მიწის გამოყოფის თაობაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. მომზადდა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;
- ქ. სენაკში, სამხედრო აეროდრომის დასახლებაში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მოთხოვნით ჩატარდა აზომვითი სამუშაოები მე-8, მე-11 და მე-16 კორპუსების სადარბაზოებისა და გარე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით. დამუშავებულ იქნა საკანალიზაციო სისტემის სრული რეაბილიტაციის გეგმა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა;
- ზუგდიდში დასრულდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის ადმინისტრაციული შენობის დაპროექტება და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დამუშავება.

ამავე პერიოდში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას ქ.16-ში დამუშავდა ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში მინისტრის აპარატის ოფისის დეფექტური აქტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ქ. თბილისში წმინდა გიორგის სახელობის ილორის ეკლესიის ტერიტორიის შემოღობვის, სატრაპეზოს მშენებარე შენობის ფუნდამენტისა და ცოკოლის სართულის პროექტი და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. გარდა ამისა, ეკლესიის

მშენებლობაში მონაწილეობას ღებულობს დეპარტამენტის თანამშრომლებისაგან ჩამოყალიბებული სამშენებლო ბრიგადა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2017 წელს შეადგინა სულ 15 931,61 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 135,38 ათასი ლარი) 112,71%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

- საშემოსავლო გადასახადი – 6 953,82 ათასი ლარი. გეგმა (5 226,36 ათასი ლარი) შესრულდა 133,05 %;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 8 679,02 ათასი ლარი. გეგმა (8 679,02 ათასი ლარი) შესრულდა 100%-ით;
- სხვა შემოსავლები – 298,76 ათასი ლარი, რამაც გეგმის (230,0 ათასი ლარი) 129,90% შეადგინა.

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 54,4 და 43,6 პროცენტს შეადგენს შესაბამისად. აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98,0 პროცენტია, ანუ დანარჩენ შემოსავლებზე მოდის მხოლოდ 2,0 პროცენტი.

დიაგრამა №7: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2017 წ.



დიაგრამა №8: რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2017-2016 წ.წ.



ცხრილი №2: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები 2017 წელს

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი % გადასახდ.-თან
გადასახდელები – სულ მ.შ.	**14246.7**	**14102.4**	**99.0**	**-144.3**	**100.0**
შრომის ანაზღაურება	7581.1	7577.3	99.9	-3.8	53.7
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.	1248.3	1235.7	99.0	-12.6	8.8
მივლინებები	126.3	121.6	96.3	-4.7	0.9
ოფისის ხარჯები	517.7	499.2	96.4	-18.5	3.5
სამედიცინო ხარჯები	0.28	0.27	96.4	–	
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯები	1.99	1.90	95.5	-0.1	0.0
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	386.0	377.4	97.8	-8.6	2.7
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	139.0	133.1	95.7	-5.9	0.9
სუბსიდია	2555.5	2495.7	97.7	-59.8	17.7
გრანტები	3.55	3.55	100.0	–	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1038.7	1035.4	99.7	-3.3	7.3
სხვა ხარჯები	391.8	371.6	94.8	-20.2	2.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	217.7	213.4	98.0	-4.3	1.5
ვალდებულებების კლება	5.8	5.8	100.0	–	–

დიაგრამა № 9: შემოსულობებისა და გადასახდელების შედარება 2017-2016 წ.წ.